დანართი №3

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. ფაკულტეტის საბჭო შედგება 39 წევრისგან.

2. ფაკულტეტის ერთიდაიმავე ქვემიმართულებიდან არ შეიძლება არჩეული იქნეს ფაკულტეტის საბჭოს ერთზე მეტი წევრი.

2. კვოტა ფაკულტეტის საბჭოში.

1. თითოეული დეპარტამენტისთვის და ინტერდისციპლინური ქვემიმართულებისთვის განისაზღვრება კვოტა – წევრთა რაოდენობა ფაკულტეტის საბჭოში;
2. კვოტის გაანგარიშება ხდება შემდეგი წესის მიხედვით: პროფილის შესაბამისად სრული პროფესორების რაოდენობას გამოკლებული წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოში შესაბამისი პროფილის მქონე წევრთა რაოდენობა;
3. დეპარტამენტის კვოტა არის ერთის ტოლი თუ მას ჰყავს ერთი სრული პროფესორი;
4. იმ ქვემიმართულებებს, რომელთაც არ ეყოლებათ წარმომადგენელი ფაკულტეტის საბჭოში შეუძლიათ სათათბირო ხმის უფლებით ყავდეთ წევრი ფაკულტეტის საბჭოში.

3. საარჩევნო კომისია

1. დეპარტამენტისთვის და ინტერდისციპლინარული ქვემიმართულებ(ებ)ისთვის ფაკულტეტის დეკანის მიერ იქმნება საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო კომისია შედგება თვმჯდომარისგან, მდივნისგან და ერთ წევრისგან;

3. საარჩევნო კომისიის წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატმა.

4. არჩევნების დანიშვნა და კანდიდატების რეგისტრაცია.

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საარჩევნო კომისია კანდიდატის პირადი განცხადების საფუძველზე;

2. განცხადება შედგენილი უნდა იყოს ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული განცხადების ფორმის შესაბამისად და უნდა ჩაბარდეს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. შემოსულ განცხადებებს ფაკულტეტის კანცელარია გადასცემს საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისია უარს ეუბნება კანდიდატს რეგისტრაციაზე, თუ: ა) განცხადება შევსებულია არასწორად;

ბ) განაცხადების მიღების ვადა დასრულებულია;

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ ფაკულტეტის სრული, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი.

5. ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევა.

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრს ირჩევს შესაბამისი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი.

2. ინტერდისციპლინური პროფილის მქონე ქვემიმართულების წარმომადგენელს ფაკულტეტის საბჭოში ირჩევს შესაბამისი პროფილის დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი.

3. აკადემიურ პერსონალს შეუძლია ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს.

4. ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრით.

5. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი.

6. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა იმავე დღეს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი საათის შემდეგ.

7. იმ შემთხვევებში თუ ვერ ჩატარდა განმეორებითი კენჭისყრა ან განმეორებითი კენჭისყრის შედეგად ვერ მოხერხდა გამარჯვებულის გამოვლენა, ინიშნება ახალი არჩევნები, არჩევნების შედეგები ფორმდება ფაკულტეტის მიერ შემუშავებული ოქმის შესაბამისად.

8. აკადემიური თანამდებობისთვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი.

9. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოში ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შეიძლება გაიმართოს არჩევნები.

10. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.